ხაშურის მოამბე

№27 (158) 9 ივლისი, ორშაბათი, 2018 წელი

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სესია

3 ივლისს, ადმინისტრაციული სახლის სხდომათა დარბაზში, გაიმართა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სესია, რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ ჯანაშვილი.

დღის წესრიგის განხილვამდე, რომელიც ცამეტი საკითხისგან შედგებოდა, სესიამ მოუსმინა გარემოსა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაშურის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსს ჯემალ გელაშვილს, რომელმაც ისაუბრა მუნიციპალიტეტში, სოფლის მეურნეობის კუთხით არსებულ მდგომარეობაზე. გამოსვლაში დიდი ადგილი დაუთმო ალოობის პროცესს, რომელიც სულ რამდენიმე დღეა, რაც დაიწყო და წარმატებით მიმდინარეობს.

სესიაზე გამოტანილი რამდენიმე საკითხი ეხებოდა საკრებულოს მიერ წინა პერიოდში მიღებულ დადგენილებებში ცვლილებების შეტანას, რაც აუცილებლობიდან იყო გამომდინარე. საკრებულოს წევრებმა მხარი დაუჭირეს ამ ცვლილებებს.

საკრებულოს წევრებმა, სესიაზე, დაამტკიცეს საჯარო ინფორმაციის პრაქტიკული გამოქვეყნების წესი და ამ ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტი.

საკრებულომ თანხმობა მისცა მუნიციპალიტეტის მერს, რომ "საქართველოს მყარი ნარჩენების კომპანიის" მიერ გადმოცემული 150 ცალი ნაგავშემკრები კონტეინერი, სარგებლობის წესით, პირდაპირი განკარგვით, თხოვების ფორმით და ა(ა)იპ-ის არსებობის ვადით, გადაეცეს "ხაშურსერვისს".

შემდეგ საკითხად, საკრებულოს წევრებმა დაამტკიცეს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმა.

საკრებულოს თანხმობით, საქართველოს საპატრიარქოს გადაეცა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე რიცხული ლითონის მალის ნაშენი (14 ტონა) და რკინა-ბეტონის მილის სექციები(2,5-4 მეტრი 6 ცალი). ასევე, საპატრიარქოს გადაეცა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ხაშურში, ოქტომბრის ქუჩაზე მდებარე უძრავი ქონება. გადაცემა მოხდება უსასყიდლოდ, სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით.

სესიის ბოლოს, საკრებულოს წევრებმა მოისმინეს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელის ანგარიში 2018 წლის პირველ ნახევარში გაწეული საქმიანობის შესახებ.

საქართველოს ცხოველთა დაცვის ფედერაციის განცხადება

საქართველოს ცხოველთა დაცვის ფედერაციის რეკომენდაციების საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, მიღებულ იქნა დადგენილება „ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარი შინაური ცხოველების - ძაღლების და კატების მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესის დამტკიცების შესახებ". აღნიშნული დადგენილება ითვალისწინებს უსახლკარო ცხოველთა პოპულაციის მართვის საერთაშორისოდ აპრობირებულ სტანდარტებს, აღნიშნული დადგენილების მეორე მუხლის თანახმად, ხაშურის საკრებულოს მიერ, განისაზღვრა, რომ ზემოაღნიშნული წესი გავრცელდება ცხოველთა შემდეგ სახეობებზე: ძაღლი, კატა. გამომდინარე იქედან, რომ ხაშურის მუნიციპალიტეტში ხშირია უზედამხედველოდ ცხოველთა მიტოვების ფაქტები, საჭიროა ცხოველთა (ძაღლებისა და კატების) პოპულაციის კონტროლი, და გარკვეულ შემთხვევებში, შეზღუდვა. ასევე, განისაზღვრა გარკვეული რეგულაციები ცხოველთა (ძაღლებისა და კატების) მომშენებლების მიმართ, მათ შორის დადგენილების მე-11 მუხლის მესამე ნაწილით, აიკრძალა სხვადასხვა დაავადებების შემთხვევებში და ასევე, პოპულაციური კონტროლის მიზნით, 2 წლამდე და 6 წელს ზემოთ და წელიწადში ერთზე მეტად მათი გამრავლება. დადგენილება შედგენილია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და ითვალისწინებს ცხოველთა დაცვის პრინციპებს, განსაზღვრავს იმ შემთხვევებს, თუ რა შეიძლება ითვლებოდეს ცხოველისადმი სასტიკ მოპყრობად და განსაზღვრავს სხვადასხვა პრობლემათა ეფექტური გადაჭრის მეთოდებს. აღნიშნული დადგენილების მიღება წარმოადგენს, ცხოველთა დაცვის კუთხით, წინ გადადგმულ უდიდეს ნაბიჯს ხაშურის მუნიციპალიტეტში, მსგავსი რეგულაციები მიღებული აქვს საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტს, ასევე მოქმედებს სხვა მრავალ განვითარებულ და განვითარებად ქვეყანაში და განსაზღვრულია, ცხოველთა დაცვის კუთხით, არსებული საერთაშორისო რეგულაციებით.

მიუხედავად ყოველივე ზემოაღნიშნულისა, ტელეკომპანია „თრიალეთის" ჟურნალისტის მიერ მომზადდა სრულიად არაპროფესიონალური და არაკომპეტენტური რეპორტაჟი. ჟურნალისტი, რომელიც არც კი იყო გაცნობილი სრულად დადგენილებას და არც იყო გაცნობილი იმ ფაქტს, რომ დადგენილება მეორე მუხლით ვრცელდებოდა მხოლოდ ძაღლებისა და კატების მიმართ, მაინც ახდენდა რესპოდენტების შეცდომაში შეყვანას და მიაწოდა არასწორი ინფორმაცია მათ, თითქოს, დადგენილება ყველა სახეობის ცხოველზე ვრცელდებოდა(აღვნიშნავთ იმ გარემოებას, რომ საკრებულოს კომპეტენციას არ განეკუთვნება ყველა სახეობის ცხოველებთან დაკავშირებული დადგენილების მიღება), ასევე ჟურნალისტი აღნიშნავდა, რომ საკრებულომ თითქოს ცხოველებს აუკრძალა გამრავლება, აკრძალვა ვრცელდება ცხოველთა გამმრავლებლებზე/მომშენებლებზე და რთული მისახვედრი არ არის, რომ რეგულაციის დარღვევისათვის პასუხისმგებლობის ზომა დაეკისრება მეპატრონეს და არა ცხოველს. აღნიშნული ქმედება ტელეკომპანია „თრიალეთის" მხრიდან წარმოადგენს ჟურნალისტური ეთიკის წესების დარღვევას და აღნიშნულთან დაკავშირებით ჩვენს მიერ მიემართება საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია - ს, ასევე, აღნიშნულ ტელეკომპანიას მივმართავთ გააკეთოს ახალი რეპორტაჟი, რომელშიც ჩვენს წარმომადგენელს მიეცემა კომენტარის საშუალება და რეპორტაჟი იქნება ობიექტურად მომზადებული.

ხაშურის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოებს მადლობას მოვახსენებთ, ზემოაღნიშნული დადგენილების მიღებისთვის, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ცხოველთა უპასუხისმგებლო მეპატრონეთა მიმართ პასუხისმგებლობის ზომის დაკისრება, რაც უზრუნველყოფს ცხოველთა პოპულაციის ეფექტურად და სწორად მართვას.

საქართველოს ცხოველთა დაცვის ფედერაცია

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ანგარიში 2018 წლის 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური შედგება ოთხი განყოფილებისაგან, შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება, წარმომადგენლების საქმიანობის კოორდინაციის განყოფილება და საზოგადოებასთან ურთიერთობის და საინფორმაციო განყოფილება, სამსახურში სულ დასაქმებულია 48 საჯარო მოსამსახურე.

სამსახურის შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების მიერ, 2018 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 25 ივნისის ჩათვლით, მომზადდა და გამოცხადებული იქნა 43 ტენდერი, საიდანაც 29 ტენდერი დასრულდა დადებითი შედეგით, გაფორმდა ხელშეკრულებები, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (გამოცხადებული ტენდერების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 4 991 366.36 ლარს, გაფორმებული ხელშეკრულებების ჯამური ღირებულება შეადგენს 3 902 556.91 ლარს, ეკონომია 1 088 809.45 ლარი). გამოცხადებული ტენდერებიდან არ შედგა 10 ტენდერი, 4 ტენდერი დასრულდა უარყოფითი შედეგით. აღნიშნული ტენდერები გამოცხადდა განმეორებით.

2018 წლის I-II კვარტალში (1 იანვრიდან - 25 ივნისის ჩათვლით), სულ განხორციელებულია 108 შესყიდვა, რამაც გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით შეადგინა 4 184 608.74 ლარი, მათ შორის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმებულია 73 ხელშეკრულება, 232 615.20 ლარის ღირებულების, ელექტრონული ტენდერების საშუალებით გაფორმებულია 35 ხელშეკრულება, 3 951 993.54 ლარის ღირებულების.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მერის წარმომადგენლების საქმიანობის კოორდინაციის განყოფილებაში, 2018 წლის იანვრიდან დღემდე, შემოსულია 1278 განცხადება და წერილი, აქედან მიწის ნაკვეთის იდენტურობის დადასტურების შესახებ – 888 წერილი, კომლის შემადგენლობისა და მასზე რიცხული ქონების შესახებ – 82 წერილი, ადგილწარმოშობის ცნობის გაცემის შესახებ – 20 განცხადება (გაცემულია – 11 ადგილწარმოშობის ცნობა). შემოსული და რეაგირებულია სამასალე მერქნის გამოყოფაზე შუამდგომლობის შესახებ – 19 განცხადება, საშეშე მერქნის სიაში რეგისტრაციაზე დახმარების შესახებ – 6 განცხადება, ავარიული ხის მოჭრის შესახებ – 18 განცხადება და – 245 სხვადასხვა განცხადება. ჩატარდა მაღალმთიან დასახლებებში სტატუსის მართვის საბჭოს 7 სხდომა, სტატუსის მინიჭების თაობაზე განაცხადი შემოიტანა 59 მოქალაქემ, მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრების სტატუსი მიენიჭა 50 მოქალაქეს, მინიჭებაზე უარი ეთქვა - 9, ხოლო სტატუსი შეუწყდა 14 მოქალაქეს. სტატუსის შესახებ მომზადდა 67 საინფორმაციო წერილი. მერის წარმომადგენლების მიერ, მონიტორინგის მიზნით, გადამოწმებული იქნა 296 მოქალაქის სტატუსი (გადამოწმების შედეგად სტატუსი შეუწყდა 2 მოქალაქეს).

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებაში დოკუმენტაციის მისაღებად გამოიყენება ორი პროგრამა: დოკუმენტბრუნვის ერთიანი ელექტრონული სისტემის პროგრამა და მუნიციპალიტეტის მართვის პროგრამა.

2018 წლის 1 იანვრიდან დღემდე, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიაში, დოკუმენტბრუნვის ერთიანი ელექტრონულ სისტემის პროგრამაში, როგორც ელექტრონულად, ისე ქაღალდის მატარებლით (ხელზე) ადგილობრივი ორგანიზაციებიდან და ზემდგომი ორგანოებიდან შემოსულია სულ 7575 წერილი, სამინისტროებში, სსიპ-ებში და სხვადასხვა ზემდგომ ორგანოებში გაგზავნილია 6810 წერილი.

მუნიციპალიტეტის მართვის პროგრამაში MMS-ში რეგისტრირებულია მოქალაქეთა 3401 განცხადება.

დოკუმენტბრუნვის ერთიანი ელექტრონული სისტემით, საერთო საკადრო საკითხებზე, გამოცემულია ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის 1437 ბრძანება, ხოლო პირადი შემადგენლობის ანუ საკადრო საკითხებზე – 536 ბრძანება.

რაც შეეხება ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის დადგენილებას, 2018 წლის 1 იანვრიდან 30 აპრილის ჩათვლით, გამოცემულია 7 დადგენილება.

2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიაში საშტატო ნუსხით გათვალისწინებული იყო 142 საშტატო ერთეული. განხორციელებული რეორგანიზაციის შედეგად, საშტატო რიცხოვნება განისაზღვრა 138 საშტატო ერთეულით, აქედან, დღევანდელი მდგომარეობით, ვაკანტურია 5 საშტატო ერთეული. შრომითი ხელშეკრულება გაფორმებულია 9 პირთან.

2018 წლის პირველ ნახევარში, პირადი განცხადების საფუძველზე, დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდა 3 საჯარო მოსამსახურე, 1 საჯარო მოსამსახურე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდების საფუძველზე, 2 საჯარო მოსამსახურე გათავისუფლდა რეორგანიზაციის საფუძველზე შტატის შემცირებასთან დაკავშირებით, 5 საჯარო მოსამსახურე რეორგანიზაციის საფუძველზე გადაყვანილი იქნა სხვა თანამდებობაზე.

2018 წლის პირველ ნახევარში, კონკურსის საფუძველზე, თანამდებობაზე დაინიშნა 1 საჯარო მოსამსახურე - იურიდიული უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.

ხაშურის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის და საინფორმაციო განყოფილების მიერ, 1 იანვრიდან დღემდე, მუნიციპალიტეტის facebook-ის ოფიციალურ გვერდზე აიტვირთა 100-ზე მეტი სხვადასხვა შინაარსის და თემატიკის facebook პოსტი. ინფორმაციის ატვირთვა და განახლება სოციალურ ქსელში ყოველთვის ოპერატიულად და მაქსიმალურად მოკლე დროში ხდებოდა.

ამას გარდა, გაზიარდა ხაშურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეებისთვის მნიშვნელოვანი 100-ზე მეტი ინფორმაცია. აღსანიშნავია, რომ თითქმის ყველა facebook პოსტს, რომელიც ქვეყნდება, თან ერთვის მოქალაქეთა შეკითხვები, საზოგადოებასთან ურთიერთობის და საინფორმაციო განყოფილება მაქსიმალურად ცდილობს ყველა მოქალაქის შეკითხვას ამომწურავად უპასუხოს და ამისთვის კონსულტაციას გადის შესაბამის სამსახურებთან. 1 იანვრიდან დღემდე, პასუხი გაეცა მოქალაქეების 2000- ზე მეტ შეკითხვას.

ხელშეკრულების პირობების თანახმად, საზოგადოებასთან ურთიერთობის და საინფორმაციო განყოფილება მასალებს აწვდის საინფორმაციო სააგენტო ინტერპრესნიუსს, რომელიც ქვეყნის მასშტაბით ვრცელდება. 1 თებერვლიდან დღემდე ,გავრცელდა 60-ზე მეტი ინფორმაცია.

საზოგადოებასთან ურთიერთობის და საინფორმაციო განყოფილება აქტიურად ურთიერთობს მედიის წარმომადგენლებთან და ეხმარება მათ ინფორმაციის მოპოვებაში, საჭიროების შემთხვევაში საზოგადოებასთან ურთიერთობის და საინფორმაციო განყოფილების თანამშრომლები აკეთებენ განცხადებებს მერიის სახელით.

1 იანვრიდან დღემდე, დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში საზოგადოებასთან ურთიერთობის და საინფორმაციო განყოფილებამ მოამზადა და დაამუშავა 180 -ზე მეტი წერილი.

საზოგადოებასთან ურთიერთობის და საინფორმაციო განყოფილების თანამშრომლები აქტიურად ურთიერთობენ მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ებთან, სამინისტროებთან, გუბერნატორის ადმინისტრაციასთან, სხვადასხვა მუნიციპალიტეტებთან, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობის და საინფორმაციო განყოფილების ძალისხმევით, ახლახანს შეიქმნა მუნიციპალიტეტის ახალი ვებ გვერდი, მისამართზე- khashuri.gov.ge, რომელიც ვიზუალურად სრულყოფილია და მნიშვნელოვან იმიჯს უქმნის მუნიციპალიტეტის მერიას. აქ შესაძლებელია მომხმარებელმა ნახოს ინფორმაცია ინფრასტრუქტურული პროექტების, მუნიციპალური პროგრამების, ადმინისტრაციული ერთეულების და მერიის ხელმძღვანელი პირების შესახებ. ვებ გვერდზე ასევე, განთავსებულია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონმდებლობა.

დავით კიკნაძე,
მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი

სამედიცინო აქცია საზღვრისპირა სოფელში

ადმინისტრაციული, საზღვრისპირა სოფელ წაღვლის და წაღვლის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი სოფლების მოსახლეობისთვის სამედიცინო აქცია გაიმართა.

აქცია ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიისა და ვ. ივერიელის სახელობის ენდოკრინოლოგიის, მეტაბოლოგიის და დიეტოლოგიის ცენტრ „ენმედიცის“ მხარდაჭერით მოეწყო.

სამედიცინო ღონისძიება დაავადებათა ადრეულ გამოვლენასა და დროულ და ადეკვატურ მკურნალობას ისახავდა მიზნად.

მოქალაქეთა პროფილაქტიკურ გასინჯვებში სხვადასხვა ექიმი-სპეციალისტები მონაწილეობდნენ. მათ შორის: ენდოკრინოლოგი, ბავშვთა ენდოკრინოლოგი, ოფთალმოლოგი, კარდიოლოგი, ნევროლოგი, თერაპევტი, გინეკოლოგი, ოტოლარინგოლოგი, ანგიოლოგი. გასინჯვისას განხორციელდა ინსტრუმენტული და ლაბორატორიული კვლევებიც.

აქცია საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით წარიმართა.

როგორც ვ. ივერიელის სახელობის ენდოკრინოლოგიის, მეტაბოლოგიის და დიეტოლოგიის ცენტრ „ენმედიცის“ წარმომადგენლებმა განაცხადეს, აქცია არ იყო ერთჯერადი და იგი მომავალშიც გაგრძელდება, რაც კარგი პრევენციაა დაავადებების ადრეულ სტადიაში გამოსავლენად.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის (სპმთპ) ხაშურის რაიონული ორგანიზაციის მიერ გაწეული მუშაობის ა ნ გ ა რ ი შ ი

პედაგოგთა, განათლების მუშაკთა ინტერესების დამცველის მისია ნებისმიერ ქვეყანაში საპატიოა და ამავე დროს რთული, მეტადრე დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესში, ჩვენთან, საქართველოში, როდესაც ახალი საზოგადოებრივ-ეკონომიკურ პოლიტიკური ცხოვრების ფორმირება მიმდინარეობს, სპმთპ-ს ორგანიზაციებს დღეს, როგორც არასდროს, სჭირდებათ მიმდინარე პროცესების ღრმა ანალიზის საფუძველზე საკუთარი წევრების შრომის დაცვისა და სოციალური პირობების გაუმჯობესებისთვის ბრძოლის ისეთი გზების ძიება, რომელიც ყველაზე მეტად მიგვაახლოებს მთავარ მიზანს, საქართველოს მომავალი თაობის აღზრდას წელში გამართული, თვალებანთებული, განათლებული, პროფესიულად დაოსტატებული მასწავლებლობა ემსახურებოდეს, რომ ჩვენმა აღზრდილმა თაობამ ფეხი აუწყოს მსოფლიოს ახალ გამოწვევებს, რათა არ დაიკარგოს გლობალიზაციის უკიდეგანო სივრცეში.

კარგად მოგეხსენებათ, პროფკავშირების ბედი წინახელისუფლების პირობებში. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, დაიწყო ჩვენი ორგანიზაციის ქმედითი საქმიანობა და აღორძინება.

სპმთპ-ს ხაშურის რაიონის საბჭოს სხდომებზე და პირველადი ორგანიზაციის წევრებთან შეხვედრების დროს, ჩვენ ვსაუბრობთ ჩვენი ორგანიზაციის მიღწევებსა და ჯერ კიდევ გადაუჭრელ პრობლემებზე. დღეს შემიძლია, მე-8 საანგარიშო-საარჩევნო კონფერენციის დელეგატებს, მოწვეულ სტუმრებსა და სპმთპ-ს წარმომადგენლებს გავაცნოთ ჩვენი რაიონის მიღწევების და სამომავლო ამოცანების შესახებ. ჩავბარო ანგარიში ჩემს ამომრჩეველს და საზოგადოებას. სპმთპ ხაშურის რაიონული ორგანიზაცია 100 წელს ითვლის, ორგანიზაციას სათავეში მუდამ ედგნენ ღირსეული ადამიანები, რომელთა ღვაწლის დავიწყება არ შეიძლება. ჩვენ პატივს ვცემთ წარსულს და თქვენთან ერთად, თქვენი დიდი მხარდაჭერით. ვცდილობთ, ვუპასუხოთ ყველა იმ გამოწვევას, რაც დგას ორგანიზაციის წინაშე.

აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ-სოციალურ-ეკონომიკური თუ სხვა პროცესები გარკვეულწილად აისახება ჩვენი ორგანიზაციის თითოეულ წევრზე, რის გამოც, ხშირად გვიწევს ქმედითი ღონისძიებების გატარება ნეიტრალური, მიუკერძოებელი და არაპარტიული ინტერესების შესანარჩუნებლად.

პროფკავშირის საერთაშორისო ორგანიზაცია განათლების იტერნაციონალი აერთიანებს მსოფლიოს განათლების სფეროს პროფესიულ კავშირებს - 171 ქვეყანას, 30 მილიონზე მეტ განათლების მუშაკს, 394 წევრ ორგანიზაციას და მათ შორის, 2001 წლიდან, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალ პროფკავშირს (სპმთპ).

სპმთპ-ს სიძლიერე ჩვენს ერთიანობაშია, საანგარიშო პერიოდში გახდა შესაძლებელი რაიონის 32 საჯარო სკოლიდან, 31 საჯარო სკოლაში ფუნქციონირებს სპმთპ-ს ორგანიზაცია, 15 სკოლამდელი დაწესებულების, ყველა დასაქმებული სპმთპ-ს წევრია.

სპმთპ-ს ხაშურის რაიონულ ორგანიზაციაში ირიცხება 1300-დე წევრი. სპმთპ-ის ხაშურის რაიონული ორგანიზაცია. სოციალურ პარტნიორებთან ერთად. ძალისხმევას არ იშურებს, რომ უფრო საინტერესო, შინაარსიანი და ქმედითი გახდეს თითოეული წევრის მუშაობა და ცხოვრება.

ვფიქრობ, პედაგოგი პასუხისმგებელი მხოლოდ მოსწავლის და მშობლის წინაშე არ არის, იგი ვალდებულებას იღებს საზოგადოების, ქვეყნის წინაშე, რადგან კარგად აღზრდილი და განათლებული თაობა ჩვენი ქვეყნის ნათელი მომავალია.

პროფწევრებთან სისტემატიური შეხვედრების შემდეგ, ვსახავთ განსახორციელებელ ღონისძიებათა გეგმას, რის საფუძველზეც წარიმართება შემდგომი მუშაობა. ჩვენი მიზანია ვიცოდეთ ყველა პროფწევრის უფლებების დაცულობის, პროფესიული გადამზადების და სოციალური მდგომარეობის შესახებ.

ორგანიზაციის პრეზიდენტი ქალ. მაია კობახიძე გაბედულად გამოდიოდა არსებული შრომის კოდექსის წინააღმდეგ (ერთთვიანი, სამთვიანი.....) ხელშეკრულებებისა და კოდექსის 37-ე მუხლის „დ" პუნქტის საკითხი არაერთხელ დაისვა საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე.

საქართველოს გაერთიანებული პროფკავშირებისა და სპმთპ-ს ჩართულობის შედეგად, 2013 წელს, შრომის კოდექსში შეტანილ იქნა ცვლილებები საკონონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში, რამაც რადიკალურად გააუმჯობესა საგანმანათლებლო დაწესებულებებში დასაქმებულთა შრომითი, სოციალურ ეკონომიკური და სამართლებრივი მდგომარეობა. ორგანიზაციის აქტიური ქმედებების მიუხედავად, პრობლემად რჩება საჯარო სკოლის პედაგოგთა და სკოლამდელ დაწესებულებებში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების საკითხი. სპმთპ-ს წინადადება „საბაზო ხელფასის ეტაპობრივი ზრდის საფუძველზე, საჯარო სკოლის მასწავლებელთა საშუალო ხელფასი 3-5 წელიწადში გაუთანაბრდეს საბიუჯეტო სექტორში დასაქმებულთა საშუალო ხელფასს და პარალელურად ამისა, გავრცელდეს პედაგოგთა სტატუსის სესაბამისი დანამატები". ჩვენი წინადადება მისაღები აღმოჩნდა ხელისუფლებისა და განათლების საკითხზე მომუშავე არასამთავრობო სექტორისთვის. 2018 წელს აღნიშნული საკითხი არის ჩვენი საქმიანობის ძირითადი პრიორიტეტი.

საგანმანათლებლო დაწესებულებებში დასაქმებულთა შრომითი, სოციალურ-ეკონომიკური, სამართლებრივი და პროფესიული უფლებების დაცვისა და შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, სპმთპ-ის სოციალურ პარტნიორთან-საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან გაფორმდა დარგობრივი შეთანხმება 2016 წლის 16 მარტს, რაც არის მყარი გარანტია პროფკავშირული საქმიანობის წარმართვის, დასაქმებულთა უფლებების დაცვისა და ურთიერთ თანამშრომლობის მიმართულებით. ასეთი შეთანხმება, პროფკავშირებსა და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოს და არასამთავრობო დაწესებულებას შორის, პირველია საქართველოს უახლეს ისტორიაში.

სპმთპ-ის ინიციატივით, 2017 წლის 16 ივნისს, „დროებითი შრომისუუნარობის გამო, დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 87/ნ ბრძანებას დაემატა ნორმები საჯარო სკოლის მასწავლებლებისათვის (16 84 93 და მე-7 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი), რის შედეგადაც საავადმყოფო ფურცელზე ყოფნის შემთხვევაში, პედაგოგებს ანაზღაურება ეძლევათ სრული ხელფასიდან, დანამატების ჩათვლით. ამ ცვლილებებამდე, დროებითი შრომისუუნარობის ანაზღაურება ხდებოდა თანამდებობრივი დანამატის გარეშე.

სპმთპ-ის ინიციატივითა და ძალისხმევით, 2017 წელს, ცვლილება შევიდა საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობისა დაპირობების დადგენის თაობაზე" განათლების მინისტრის 126/ნ ბრძანებაში, რომლის შედეგად 2000წლის ჩათვლით მიღებული 4-წლიანი უმაღლესი პედაგოგიური განათლების მქონე პირებს, შრომის ანაზღაურება მიეცემათ მაგისტრის აკადემიური ხარისხის შესაბამისად. ამ ინიციატივით, მაგისტრის აკადემიური ხარისხის მიხედვით, შრომის ანაზღაურება, მიიღო პედაგოგთა დიდმა ნაწილმა.

სპმთპ-ის ინიციატივით და ძალისხმევით, ცვლილებები შევიდა „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონსა (მე-19 მუხლის მე-10 პუნქტი) და მასწავლებელთა დისციპლინური წარმოების წესის შესახებ განათლების მინისტრის ბრძანებაში (მე-3 მუხლის მე-6 პუნქტი, მე-12 მუხლის მე-2 და მე-6 პუნქტები, მე-18 მუხლის მე-2 პუნქტი და მე-19 მუხლი), კერძოდ, გაუქმდა ნორმა, სკოლის გარე ტერიტორიაზე, არასამუშაო საათებში ჩადენილი ქმედებისთვის, პედაგოგისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე. ამასთანავე, შემცირდა დისციპლინური წარმოების დაწყების 3 წლიანი ვადა 1 წლამდე.

შეთანხმება იქნა მიღწეული განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან იმასთან დაკავშირებით, რომ „საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობისა და პირობების დადგენის თაობაზე," განათლების მინისტრის 126/ნ ბრძანებაში განხორციელდეს ცვლილება, რომლის მიხედვითაც, მასწავლებლები, დატვირთვის მიუხედავად, სრულად მიიღებენ სქემით განსაზღვრული შესაბამისი სტატუსის დანამატს. კერძოდ, აღნიშნული ბრძანების მე-10 მე-5 და მე-6 პუნქტები იძლევიან ნორმის იმგვარად განმარტების შესაძლებლობას, რომ ასეთი შედავათით სარგებლობდნენ მხოლოდ ინგლისური ენის პედაგოგები, რაც დისკრიმინაციული და არასამართლიანი დამოკიდებულება იყოს სხვა საგნის პედაგოგების მიმართ.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი აქტიურად ჩაერთო „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" კანონპროექტის შემუშავებისა და განხილვების პროცესში, სპმთპ-ს ინიციატივით, კანონპროექტს დაემატა მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის თ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, მუნიციპალიტეტები, „ამტკიცებენ დაწესებულებებში დასაქმებულ პირთან დადებული ხელშეკრულების სავალდებულო პირობებს პროფესიულ კავშირთან შესაძლო კონსულტაციით." ამ პუნქტის დამატებით, სპმთპ-ის ინიცირებული რედაქციით იქნა მიღებული „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონი და ძალაში შევიდა 2017 წლის 1 ოქტომბერს.

2013 წლის მაისში, სპმთპ გამოვიდა მოთხოვნით „სკოლასა და მასწავლებელს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების სავალდებულო პირობების შესახებ" განათლების მინისტრის 959 ბრძანებაში შესულიყო ცვლილება, რომლის თანახმად პედაგოგს მიეცემოდა შესაძლებლობა ესარგებლა ანაზღაურებადი შვებულებით არანაკლებ 40 სამუშაო დღისა. განათლების მინისტრმა დაკმაყოფილა მოთხოვნა 959 ბრძანებაში განხორციელდა ცვლილება - ნაცვლად ჩანაწერისა „მასწავლებელს შეუძლია ისარგებლოს ანაზღაურებადი შვებულებით არანაკლებ 24 სამუშაო დღისა, შევიდა - ნორმა „მასწავლებელს შეუძლია ისარგებლოს ანაზღაურებადი შვებულებით არანაკლებ 40 სამუშაო დღისა." ბრძანების შემდგ პედაგოგები სარგებლობენ 40 დღიანი შვებულებით.

იმის გამო, რომ არ დარღვეულიყო, საგაკვეთილო საათების განაწილების დრო,ს პედაგოგთა უფლებები და უმუშევარი არ დარჩენილიყო არასერთიფიცირებული პედაგოგი, ამავე დროს სერთიფიცირების დანამატი სრულად მიეღოთ სერთიფიცირებულებს - სპმთპ-ს პრეზიდენტმა ქალ. მაია კობახიძემ მთავრობის წინაშე დააყენა მოთხოვნა სერთიფიცირების დანამატი, ნაცვლად 18 საათისა, მიეღოთ 15 საგაკვეთილო საათზე. საკითხის დადებითად გადაწყვეტის შედეგად მრავალმა პედაგოგმა შეინარჩუნა სამსახური.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობის მიზნით, დანერგილია ფართომასშტაბიანი საგნობრივი კონფერენციები. ასეთი ჩატარდა საზოგადოებრივ მეცნიერებათა პედაგოგებისთვის, ხაშურის რაიონიდან კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 35 პედაგოგმა და ხუთმა დირექტორმა.

გასული წლის 1 ოქტომბერს, სპმთპ-ს ინიციატივით და ორგანიზებით, გაიმართა მასწავლებლის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა გზავნილით „მასწავლებლის დაფასება, მათი სტატუსის ამაღლებისთვის", ღონისძიებაში მონაწილეობდნენ მთავრობის ხელმძღვანელი პირები, პარლამენტის დეპუტატები, პარლამენტის განათლებისა და კულტურის განყოფილების ხელმძღვანელი ქალ. მარიამ ჯაში, განათლების მინისტრი და სხვა პირები. ამავე დღეს, დაჯილდოვდნენ სხვადასხვა რაიონებიდან წარგზავნილი პედაგოგები. ხაშურის რაიონის მე-4 საჯარო სკოლიდან – მაია ჩაჩანიძე და ინგა თედეშვილი. მე-6 საჯარო სკოლიდან – ნათია აბაიაძე, 1-ლი საჯარო სკოლიდან – მარინე რატიანი, მე-8 საჯარო სკოლიდან – მანონი ტატიშვილი, მე-7 საჯარო სკოლიდან – ანა ტაბატაძე.

პროფკავშირს წერილობით ხშირად მიმართავდნენ სკოლის დირექტორები და სასწავლო- აღმზრდელობით დარგში მოადგილეები, იმის გამო, რომ ისინი პედაგოგების მსგავსად ვერ იღებდნენ ხელფასს და პენსიას ერთდროულად. ასეთივე ვითარებაში იყვნენ საბავშვო ბაგა-ბაღის თანამშრომლებიც. სპმთპ-ს განუხრელი პრინციპული მუშაობის შედეგად, შრომისა და ჯანმრთელობის სამინისტროსთან კოლეგიალური თანამშრომლობით 2013 წლის 1 დეკემბრიდან ძალაში შევიდა ცვლილება კანონში და აღნიშნული ყველა პირი და მათ შორის მუზეუმისა და სამეცნიერო დაწესებულების მუშაკები სარგებლობენ პენსიითა და ხელფასით ერთდროულად.

სპმთპ აქტიურად მოღვაწეობს საერთაშორისო დონეზე - 2017 წლის 4 აპრილს, ქ. ბრიუსელში, საერთაშორისო ორგანიზაციის „ევროპის პროფკავშირების განათლების კომიტეტის" (ETVG) კოლეგიური ორგანოს სხდომაზე, ევროპის რეგიონის 48 წევრის პროფკავშირების წარმომადგენლების წინაშე, სპმთპ-ის ხელმძღვანელებმა წარადგინეს ინფორმაცია დარგობრივი შეთანხმების გაფორმების თაობაზე განათლების სამინისტროსთან მიმდინარე სამუშაო შეხვედრების შესახებ და სპმთპ-ის მიერ ინიცირებული დარგობრივი შეთანხმების პროექტის საბოლოო ვერსიის პრეზენტაცია გამართეს.

2017 წლის 27-29 სექტემბერს, ქ. რიგაში, ევროპის პროფკავშირების განათლების კომიტეტის (ETUGE) ცენტრალურ და ევროპის ქვეყნების განათლების პროფკავშირების მრგვალ მაგიდაზე, როგორც წარმატებული საქმიანობის მაგალითი, სპმთპ-ის ხელმძღვანელებმა წარადგინეს პრეზენტაცია „ მასწავლებლის სტატუსი, მათი მოზიდვა და დამაგრება,"

საერთაშორისო ორგანიზაციის „განათლების ინტერნაციონალის"(EI) მხარდაჭერით, 2017 წლის ივნისიდან დაიწყო თანადგომის საპილოტე პროექტი, „განათლების პოლიტიკის ადვოკატირების შესაძლებლობებისა და სკოლის დემოკრატიული მართვის უნარების განვითარება საქართველოში". პროექტს ახორციელებს „დანიის უმაღლესი საფეხურის მასწავლებელთა ეროვნული პროფკავშირი". დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. პროექტის ფარგლებში უკვე ჩატარებულია 4 დღიანი ტრენინგები დანიის ექპერტ-მასწავლებლების მიერ. ტრენინგის მუშაობაში მონაწილეობდნენ ხაშურის მე-2 საჯარო სკოლის პედაგოგები ქეთევან გოგალაძე და მაია არსენაძე.

სპმთპ-ს საქმიანობის ძირითად პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს პროფესიული განვითარების საკითხი, ამ მიზნით, სპმთპ-ის „საგანმანათლებლო დაწესებულებებში დასაქმებულთა პროფესიულ ცენტრთან" თანამშრომლობით საანგარიშო პერიოდში ჩატარებულია 141-ზე მეტი ტრენინგი. ტრენინგი ჩატარდა სკოლის დირექტორების, ბიბლიოთეკარების, ქართული ენის, მათემატიკის, ბიოლოგიის, ქიმიის, ფიზიკის, უცხო ენების, ისტის, მუსიკის და სხვადასხვა საგნისა და დაწყებითი კლასების პედაგოგებისათვის. ტრენინგი ჩატარდა პროფესიულ უნარებში, სულ გადამზადდა 500-ზე მეტი განათლების მუშაკი.

სპმთპ-ს პროფესიული განვითარების ცენტრმა განახორციელა საპილოტე პროექტი, განათლების სამინისტროს „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის" მხარდაჭერით, თემაზე „მასწავლებელთა პროფესიული უნარების განვითარება აღმოსავლეთ საქართველოს მცირეკონტინგენტიან სკოლებში". პროქტის ფარგლებში ტრენინგი ჩატარდა 3 ზონაში - ნაბახტევის, ფლევის, გომის, ვაყის და მიმდებარე მცირე კონტინგენტიან სკოლების, ცხრამუხის, წრომის, ხციხის, ტეზრის საჯარო სკოლების, სურამის 1-ლი, მე-2, მე-3, ქემფრის, ოძისის საჯარო სკოლების პედაგოგებისთვის. სულ, ჯამში, გადამზადდა 112 პედაგოგი, რომლებმაც მიიღეს სერთიფიკატები და 1,5 კრედიტქულა. პირველად, არასამთავრობო ორგანიზაცია, სპმთპ გახდა უფლებამოსილი კრედიტქულების მინიჭების მიმართულებით.

საანგარიშო პერიოდში, სულ ჩატარდა 141-ზე მეტი ტრენინგი. საბავშვო ბაღების გაერთიანებასა და სპმთპ-ის რაიონული ორგანიზაციის ერთობლივი ძალისხმევით, ტრენინგი ჩაუტარდა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მენეჯერებს, აღმზრდელებს, თანაშემწეებს, ექთნებს, მნეებს, მზარეულებს, მეთოდისტებს.. ტრენინგებზე მოწვეულნი იყვნენ მაღალკვალიფიციური ტრენერები.

ტრენინგები ჩატარდა გაკვეთილის დაგეგმვის, ინდივიდუალური გეგმის, მოსწავლეთა შეფასების მოდულის და სხვა საკითხებზე.

სპმთპ-მ აქტიური მონაწილეობა მიიღო „სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" კანონპროექტის განხილვასა და დახვეწაში. აღნიშნული კანონი დეტალურად განსაზღვრავს მუნიციპალიტეტების და სხვადასხვა სამინისტროების კომპეტენციებსა და ვალდებულებებს. კანონის ამოქმედებისთანავე შემუშავდება ერთიანი სახელფასო პროფესიული სტანდარტი და მიდგომები ყველა მუნიციპალიტეტის სბავშვო ბაგა-ბაღების დასაქმებულთათვის და კანონი აღიარებს აღმზრდელისთვის უკანონოდ ჩამორთმეული პედაგოგის სტატუსის დაბრუნებას. განათლების სამინისტრო შეიმუშავებს ერთიანი სტანდარტის საგანმანათლებლო პროგრამას, რაც საბავშვო ბაღებს დაუბრუნებს საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსს, პროფკავშირის მოთხოვნა გახლდათ ის, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სპმთპ-თან თანამშრომლობით შეიმუშავებს აღმზრდელ-პედაგოგთა ტრენინგ-მოდულებს.

ორგანიზაცია ზრუნავს წევრების მეთოდური და მხატვრული ლიტერატურით უზრუნველყოფისთვის, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს გადაეცათ საბავშვო მწერლების წიგნები, კომპოზიტორ ვაჟა დურგლიშვილის მიერ შექმნილი მუსიკალური კომპოზიციები, მეთოდური ლიტერატურა „ჩემი დღიური". საჯარო სკოლის პედაგოგებს გადაეცათ „მასწავლებლის დღიური", რომელიც შეიცავს მოკლე ანოტაციას მათი უფლებების მოსწავლეთა ფსიქოლოგიური დახასიათებისა და სხვა საჭირო ცნობარს.

სკოლის ბიბლიოთეკებს საჩუქრად გადაეცათ თითოეულს 200 ლარზე მეტი ღირებულების მეთოდური და მხატვრული ლიტერატურა, ნორმატიული აქტების კრებული, სასერთიპიკაციოთ მოსამზადებელი ინგლისური ენის, რუსული ენისა და პროფესიული უნარების სახელმძღვანელოები.

2013 წელს, ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის განხილვის დროს, მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის, ირინა გელაშვილის და სპმთპ-ის ხაშურის ორგანიზაციის თავმჯდომარის ინიციატივით, მომზადდა პროექტი მრავალშვილიანი - ოთხი და მეტი შვილის დედებისთვის „დედის დღესა" და „ქალთა საერთაშორისო" დღესთან დაკავშირებით თითო შვილზე ასი ლარის გადაცემის. მადლობა მუნიციპალიტეტის მერიას, ეს გადაწყვეტილება დღესაც ძალაშია და ჩვენი რაიონის მრავალშვილიანი ქალბატონების გვერდით, ჩვენი წევრებიც სარგებლობენ ამ საჩუქრით.

ასეთივე ერთობლივი პროექტით, ბუფერულ ზონაში მყოფი საჯარო სკოლის პედაგოგებისთვის მგზავრობა გახდა უფასო. თუმც, წაღვლის საჯარო სკოლის ყოფილი დირექტორი, მხოლოდ თვითონ სარგებლობდა და პედაგოგებს არ აძლევდა უფასოდ მგზავრობის საშუალებას. სკოლას ჰყავს აქტიური, თავისი საქმის კარგად შემსრულებელი პროფთავმჯდომარე ქალ. ფიქრია ლომიძე, რომლის საშუალებითაც შევიტყვეთ აღნიშნულის შესახებ და ჩვენი ჩარევის შემდეგ, საკითხი გამოსწორდა. არაერთი ინცინდენტის მომსწრე ვიყავით ოსიაურის სამგზავრო ტრანსპორტის მძღოლის - პედაგოგების მიმართ დამოკიდებულებით, ჩვენი აქტიური ჩარევის შედეგად, საკითხი აქაც გამოსწორდა. მიმდინარე წლის სექტემბრის თვეში განცხადებით მოგვმართეს ცხრამუხის საჯარო სკოლის და საბავშვო ბაღის თანამშრომლებმა მგზავრობის გაძვირების თაობაზე. საკითხის შესწავლის შემდეგ, ჩვენ თხოვნით, მივმართეთ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, რომლის შემდეგ, მათთან თანამშრომლობით, საკითხი დადებითად გადაწყდა და დღეს ჩვენი წევრები შეღავათიანი ფასებით სარგებლობენ. მაღალმთიანი საჯარო სკოლების თანამშრომლებისთვის კანონი არეგულირებს შეღავათებს სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის. თუმცა, მაინც გვაქვს თხოვნა საკრებულოსა და მერიის საფინანსო განყოფილებასთან, არამთიანი ზონის სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში დასაქმებული ჩვენი მუშაკები კვლავ იხდიან მგზავრობის

(დასასრული IV გვერდზე)

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის (სპმთპ) ხაშურის რაიონული ორგანიზაციის მიერ გაწეული მუშაობის ა ნ გ ა რ ი შ ი

(დასასრული)

მაღალ თანხას, რაც მძიმედ აწევს მათ ბიუჯეტს, თუ რადაც გარკვეულ შეღავათს დავაწესებთ მათთვის, ეს დიდი დახმარება იქნება.

2011 წელი ძალიან რთული იყო ჩვენს საგანმანათლებლო დაწესებულებებში დასაქმებულთათვის. მხოლოდ ჩვენს რაიონში ავადსახსენებელი 37-ე მუხლით რამდენიმე ათეული პედაგოგი გათავისუფლდა. სპმთპ დღემდე აგრძელებს ამ პედაგოგების დახმარებას და სასამართლო წესით აღდგენას.

სპმთპ-ს იურიდიული დეპარტამენტი, მისი ხელმძღვანელი ბნ-ი უჩა ბაკურაძე ინტენსიურად იცავს უფლებაშელახული დასაქმებულების ინტერესებს. წარმატებით დასრულდა არაერთი სასამართლო პროცესი და სამსახურში აღდგა განაცდურის მიღებით ქვეყნის სხვადასხვა რაიონის საგანმანათლებლო დაწესებულებებში დასაქმებული გათავისუფლებული პიროვნებები. სულ ახლახანს, სპმთპ-მ სამსახურში აღადგინა ქუთაისის მე-13 საჯარო სკოლის დირექტორი ნატალია სანდუხაძე, ხაშურის მე-7 სკოლამდელი დაწესებულების მენეჯერი ლიანა საბანაძე, 3 სკოლამდელი დაწესებულების აღმზრდელ-პედაგოგი ნანული ჩიტაძე. 2016 წლის გაზაფხულზე, მოსწავლესთან ინცინდენტის გამო გაათავისუფლეს გომის საჯარო სკოლის პედაგოგი ბონდო გელაშვილი. ჩვენს მიერ საკითხი გადაეგზავნა სპმთპ-ის იურიდიულ დეპარტამენტს, შესწავლის შემდეგ, სარჩელი მოამზადა ბნ-მა უჩა ბაკურაძემ, მისი კვალიფიციური დაცვის შედეგად, ბონდო გელაშვილი აღდგა სამსახურში განაცდურის ფინანსური ანაზღაურებით.

რამდენიმე ათეულს გადააჭარბა სპმთპ-ის იურიდიული დეპარტამენტის მიერ უფლებადარღვეულ წევრთა სამსახურში აღდგენილთა რიცხვმა, რომელთა ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანს. რაიონის ხელმძღვანელობასთან თანამშრომლობით, ზოგჯერ ადგილზეევ ვახერხებთ ჩვენი წევრების უფლებების დაცვას. 10 საბავშვო ბაღის პროფავმჯდომარეს ქ-ნ ეკა ტაბატაძეს უარს ეუბნებოდნენ დეკრეტული შვებულების დაფინანსებაზე, ასევე არ უნაზღაურებდნენ საავადმყოფო ფურცელზე ყოფნის 14 დღის თანხას 1 საბავშვო ბაღის აღმზრდელის თანაშემწეს ქ-ნ ნორა ტალახაძეს, ჩვენი ორგანიზაციის აქტიური ჩარევის შედეგად, საქმე დადებითად გადაწყდა.

ორგანიზაციაში ხშირად შემოდის განცხადებები ჩვენი წევრების უფლებების შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებით, დამსაქმებლებთან თანამშრომლობით დადებითად გადაწყდა გომის საჯარო სკოლის პედაგოგების თამარ ბითაძისა და ნანი ბოჭორიშვილის საკითხი, საათების განაწილების შესახებ.

დისკრიმინაციას და უფლებების დარღვევას ასაჩივრებდა სატივის საჯარო სკოლის პედაგოგი თინათინ გრძელიშვილი, საკითხის შესწავლის შემდეგ, შედგა შეხვედრა პედაგოგიურ კოლექტივთან და სკოლის ადმინისტრაციასთან, შინაგანაწესის ერთერთი პუნქტის დარღვევის გამო გამოცხადებული საყვედური აღმოჩნდა სამართლიანი. ჩვენს მიერ გაკეთდა განმარტება ნორმატიულ აქტებსა და სკოლის შინაგანაწესის თაობაზე, საკითხი მოგვარდა ურთიერთთანამშრომლობით.

განცხადებით მოგვმართეს 4 საჯარო სკოლის პედაგოგებმა გ. კოშკაძემ, თ. ნოზაძემ, ნ. გოგალაძემ, ლ. გუგბერიძემ, ნ. ობლიშვილმა, მ. ქურდაძემ საგაკვეთილო საათების განაწილების სამართლიანობის აღდგენის მიზნით. თანამშრომლობა შედგა დამსაქმებელსა და პროფკავშირს შორის და საკითხი დადებითად გადაწყდა.

არის შემთხვევები, როდესაც განცხადებით მოგვმართავენ მოსწავლეთა მშობლები, ჩვენი ორგანიზაცია უყურადღებოდ არ ტოვებს არცერთ განცხადებას, შეძლებისდაგვარად, ჩვენთვითონ ვაგვარებთ პრობლემას ან ვახდენთ მის გადამისამართებას.

სპმთპ-ის ხაშურის რაიონული ორგანიზაცია თანამშრომლობს მუნიციპალიტეტის სარაიონო ბიბლიოთეკის „მკითხველთა კლუბთან," ხშირად იმართება ერთობლივი ღონისძიებები აღზრდის საკითხებზე, სადაც ვიწვევთ საჯარო სკოლის პედაგოგებსა და მოსწავლეებს.

მიმდინარე წლის მარტში, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტმა გამოაცხადა ესეების კონკუსი თემაზე „როგორ მოვუაროთ ქართულ ენას" რესპუბლიკაში გაიმარჯვა 20 ნაშრომმა, აქედან 4 გახლდათ გ. ტაბიძის სახელობის ხაშურის 6 საჯარო სკოლის მოსწავლეების. 14 აპრილს, ქართული ენის დღეს გამარჯვებული მოსწავლეები მიიწვიეს უნივერსიტეტში და დაჯილდოვეს დიპლომებით და ფასიანი საჩუქრებით. გამარჯვებულ მოსწავლეებს ნინი შუბითიძეს, ნათია მეგრელიშვილს, ანა ტაბატაძეს, მარიამ კვინიკაძეს, მარიამ კანთელაშვილს მოვუწყეთ შეხვედრა სარაიონო ბიბლიოთეკის დარბაზში მათ თანატოლების, პედაგოგების და საზოგადოების წინაშე წარმოადგინეს გამარჯვებული ნაშრომები, იყო მსჯელობა ქართული ენის მოვლა- დაცვისა და განვითარების შესახებ, გამარჯვებული მოსწავლეები დავაჯილდოვეთ სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით.

სპმთპ-ს ხაშურის რაიონული ორგანიზაცია თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციებთან. „ქალთა ასოციაციის" და სპმთპ-ს რაიონული ორგანიზაციის ჩართულობით, ჩატარდა მრავალი ღონისძიება, მათ შორის საქველმოქმედო აქცია - კონცერტი ცხრამუხის საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლის ცერებრალური დამბლით დაავადებული, სოციალურად დაუცველი ანი ფოცხვერაშვილის ძვირადღირებული ოპერაციის დაფინანსების ხელშეწყობისთვის, დევიზით „სიკეთე გადამდებია".

წინასაახალწლო დღეებში, სპმთპ-ს რაიონული ორგანიზაციის, მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურის, განათლების რესურსცენტრისა და „ქალთა ასოციაციის' თაოსნობით, გამოცხადდა აქცია-კონკურსი „გავულამაზოთ სოციალურად დაუცველებს ახალი წელი" აქციამ მიიღო ფართო ხასიათი, ჩაერთო როგორც საჯარო სკოლებისა და სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები, ასევე რიგითი ადამიანები. ოფისში წარმოდგენილი ხელნაკეთი ნაძვის ხეები შეფასდა ჟიურის მიერ, პირველი ადგილი მიენიჭა შ. რუსთაველის სახელობის 9 საჯარო სკოლის პედაგოგის ხათუნა ჩიტაძის ნამუშევარს. კონკურსში, ასევე, გაიმარჯვეს გ. ტაბიძის სახელობის 6 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა. მათ გადაეცათ სპმთპ-ის ხაშურის რაიონული ორგანიზაციის სიგელები და პოეტ რომან ზუკაკიშვილის ლექსების კრებული. კონკურსში გამარჯვებული ხელით ნაკეთი ნაძვის ხეები საჩუქრად გადაეცათ მცირე ტიპის საოჯახო სახლის აღსაზრდელებს, მოხუცთა პანსიონატ „გვირილას" და სოციალურად დაუცველთა სასადილოს ბენეფიციარებს. ჩვენს მიერ ორგანიზებულ აქციაში „სიკეთე გადამდებია" ჩაერთო ფართო საზოგადოება, მათი ჩართულობით, დახმარება გაეწია ცხრამუხაში მცხოვრებ, სოციალურად დაუცველ დემურაშვილების ოჯახს, ასევე შინდარაში მცხოვრებ გიკაშვილების მრავალრიცხოვან ოჯახს. ყველა საჯარო სკოლიდან ვიღებთ მონაცემებს სოციალურად დაუცველ მოსწავლეების შესახებ და რაიონის მეცენატებთან ერთად, სადღესასწაულო ცენტრში, საზეიმო ვითარებაში ეწყობა მათი დაბადების დღეების აღნიშვნა და საჩუქრების გადაცემა. დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღეს, ვიწვევთ ამ სინდრომით დაავადებულ რაიონში მცხოვრებ პატარებს და რაიონის გამოჩენილ ადამიანებთან ერთად, ვმასპინძლობთ სადღესასწაულო ცენტრში.

სპმთპ-ს ხაშურის რაიონული ორგანიზაციისა და საჯარო სკოლების ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, ეწყობა ღვაწლმოსილი პედაგოგების პენსიაზე გაცილების საღამოები. ღირსეულად და პატივისცემით გავაცილეთ დამსახურებულ პენსიაზე სურამის მე-4 საჯარო სკოლის პედაგოგი შალვა გელაშვილი, სურამის მე-3 საჯარო სკოლის პედაგოგი ნუნუ გაფრინდაშვილი, მე-8 საჯარო სკოლის პედაგოგები - ნათელა ხაბეიშვილი, დარეჯან ზამიატინა, ირინა ბერიძე და ნანი ძიგუა-მარკოზაშვილი.

„ქალთა ასოციაციასთან" ერთად, რაიონის ხელმძღვანელების დახმარებით, ქალაქის დასასვენებელ ბაღში უნარშეზღუდული ბავშვებისთვის გაკეთდა საქანელები. შევიძინეთ გადასაადგილებელი ეტლები. ხშირად ვსტუმრობთ „დღის მოვლის ცენტრის" პედაგოგებს და აღსაზრდელებს, მათთან ერთად ტარდება ღონისძიებები. ცენტრის აღსაზრდელს ნუცა ჩიტაძეს დაუფინანსდა ლექსების კრებული „ალუბლის ყვავილობა", ხოლო მისი ნახატების გამოფენა მოეწყო საბავშვო ბიბლიოთეკაში. დღის ცენტრის აღსაზრდელებს საჩუქრად გადავეცით პიანინო. შ. რუსთაველის 250 წლისთავთან დაკავშირებით, ჩატარდა პოეზიის საღამო, მონაწილე პედაგოგები და მოსწავლეები დაჯილდოვდნენ წიგნებით და სიგელებით. რაიონის ყველა საჯარო სკოლასა და სკოლამდელ დაწესებულებებში ჩატარდა ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები. გომის საჯარო სკოლის მედია - კლუბის წევრები ატარებენ ეკოლოგიურ კვლევებს ბუნების გაჯანსაღების მიზნით. ჩვენი ორგანიზაციის ინიციატივითა და ჩართულობით, მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლის მოსწავლეები და პედაგოგები დავამეგობრეთ ქვიშხეთის საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბის წევრებთან და პედაგოგებთან. ჩატარდა ერთობლივი ღონისძიებები „ნაადრევი ქორწინების პრობლემები", „უარი ალკოჰოლსა და ნარკოტიკს".

ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღეს (10 დეკემბერი), მოეწყო ღონისძიება თემაზე „ადამიანის უფლებათა დაცვა, კონსტიტუციური რეფორმა და სამართლის უზენაესობა", „ხელისუფლებასთან ჩვენი პრობლემების მიტანა და მათი მოგვარება მხოლოდ პროფკავშირს შეუძლია."

რაიონის მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურთან თანამშრომლობით, სოციალურად დაუცველი საჯარო სკოლების, ჩვენს მიერ შერჩეული 30 მოსწავლე გაიგზავნა ურეკში, თვითმმართველობის ლიდერთა სკოლაში 1 კვირით.

1 საჯარო სკოლის დირექტორის ბნ-ი მორის დანდურიშვილის ინიციატივით, შეხვედრა მოეწყო საქართველოს პედაგოგთა ეროვნული ჯილდოს მფლობელ ლადო აფხაზავასთან, რომელმაც ჩვენი რაიონის პედაგოგებს და მოსწავლეებს ჩაუტარა მასტერკლასი და გაუზიარა გამოცდილება.

რაიონის პედაგოგიურ საზოგადოებას ჰყავს ფრიად წარჩინებული პედაგოგები, რომლებიც მონაწილეობენ განათლების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ სხვადასხვა კონკურსებში და იმარჯვებენ კიდეც. ევროპის სკოლათა მასწავლებლების ურთიერთთანამშრომლობის მიზნით გამართულ კონკურსში 1-ლი საჯარო სკოლის პედაგოგი ნანა დაბრუნდაშვილი წარგზავნილიყო პრაღაში, რომელიც მონაწილეობდა აღნიშნულ სემინარში. პროექტში „მასწავლებელი მეგზური ევროპისკენ" გაიმარჯვა სურამის ქრისტეფორე III-ის 4 საჯარო სკოლის პედაგოგმა ინგა გოგალაძემ, რომელიც დაჯილდოვდა სერთიფიკატით და სასწავლო ვიზიტით ესტონეთის დედაქალაქ ტალინში.

წლევანდელი მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს კონკურსში მონაწილეობენ ჩვენი რაიონის პედაგოგები 1 საჯარო სკოლის პედაგოგი ნანა დაბრუნდაშვილი და სურამის 2 საჯარო სკოლის პედაგოგი, ვიკიპედიის შემქმნელი ხაშურის რაიონში ჯაბა ლაბაძე. ორივე მათგანი მოხვდა გამარჯვებულთა ათეულში. ვულოცავთ და ვუსურვებთ შემდგომ წარმატებებს.

ყველა საჯარო სკოლაში ჩატარდა საქართველოს დამოუკიდებლობისადმი მიძღვნილი ღონისძიება. ტკოცის საჯარო სკოლის მოსწავლეები და პედაგოგები, ჩვენთან ერთად, სტუმრობდნენ ნიქოზის საჯარო სკოლის პედაგოგებსა და მოსწავლეებს, პატივი მივაგეთ 2008 წელს დაღუპულ შინდისის გმირებს. ფართომასშტაბიანი ღონისძიება ჩატარდა სატივის საჯარო სკოლაში.

სპმთპ-ს ხაშურის რაიონული ორგანიზაცია აქტიურად თანამშრომლობს განათლების რესურსცენტრისა და მუნიციპალიტეტის განათლებისა და კულტურის განყოფილებების ხელმძღვანელობასთან, მათი თანადგომით, მრავალი პრობლემა დადებითად გადაიჭრა. სამომავლოდ, ურთიერთობა გაგრძელდება რაიონის განათლების ყველა მუშაკის სასიკეთოდ.

საკრებულოს კულტურის განყოფილების ხელმძღვანელ ირინა გელაშვილის, განათლების რესურსცენრის ხელმძღვანელ ბნ- ზვიად გოგუაძისა და ჩვენი ორგანიზაციის თანამშრომლობით, ვაპირებთ, აქციის ჩატარებას თემაზე „გადავარჩინოთ სიცოცხლის წყარო, მწვანე ნარგავები"- ამ დევიზით გამოცხადდება რაიონის ყველა ორგანიზაციაში აქცია, მაკულატურის შეგროვების მიზნით. ასევე, აქტიურ მონაწილეობას მივიღებთ, ყველასთვის კარგად ცნობილ, ზემოსერზე, ბანას მშენებლობის საქმეში, სადაც იქმნება მძლავრი საგანმანათლებლო ცენტრი, რომელიც სასიკეთოდ წაადგება ჩვენი რაიონის განათლების ყველა მუშაკსა და საზოგადოების წევრს.

საქველმოქმედო თეატრ „მხიარული ნიღბების" მიერ გამოცხადებულ კონკურსში, მონაწილეობა მიიღეს გომის საჯარო სკოლის თეატრალური წრის წევრებმა. პედაგოგ მზაღო გოგატიშვილისა და ნანა დონაძის მიერ მომზადებულმა სპექტაკლმა „დარისპანის გასაჭირი" მოწონება დაიმსახურა და რესპუბლიკის მაშტაბით მე-3 ადგილი მოიპოვა. სპმთპ-ს პრეზიდენტმა ქალ. მაია კობახიძემ გამარჯვებული დასის მოსწავლეები და რეჟისორები ფულადი საჩუქრებით და დიპლომებით დაჯილდოვა. ასევე, სპმთპ-ს ხაშურის რაიონულმა ორგანიზაციამ დაჯილდოვა თითოეული წევრი და პედაგოგები და ვიდეოფირზე გადაღებული სპექტაკლი სამახსოვროდ გადასცა სკოლას.

რაიონული ორგანიზაცია უყურადღებოდ არ ტოვებს არცერთ წევრს, ვულოცავთ მათ დაბადების დღეებს, ვთანამშრომლობთ,. ჩვენს წევრებს თანავუგრძნობთ გასაჭირის დროსაც ჩვენი სამძიმრით და გვერდში დგომით.

ორგანიზაციის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ხშირად თავსდება სტატიები რაიონულ გაზეთ „ხაშურის მოამბეს" ფურცლებზე, აქტიურად ვთანამშრომლობთ გაზეთის რედაქციასთან. თანამშრომლობისთვის მადლობას ვუხდით რედაქციის თანამშრომლებს.

ბიუჯეტის გათვალისწინებით ფულადი თანხით ვეხმარებით ავადმყოფობისა თუ სხვა პრობლემის მოსაგვარებლად, ერთჯერადი სამედიცინო დახმარება გაეწია და ფულადი თანხა გადაეცა ხცისის საჯარო სკოლის პედაგოგს ლუარა თუმანიშვილს, წრომის საჯარო სკოლის პედაგოგს ნინო ბლიაძეს, თამარ მახათაძეს. ტეზრის საჯარო სკოლის დამლაგებლებს: ლამზირა გველესიანს და ლიანა მანოიანს. სურამის 3 საჯარო სკოლის პედაგოგს ნინო ნოზაძეს, ხაშურის 1 საჯარო სკოლის პედაგოგებს: დიანა კომლაძეს, ხათუნა ხაჭაპურიძეს, მარინე კვერნაძეს, ხაშურის 4 საჯარო სკოლის პედაგოგებს: მარინა ლომიძეს, გომის საჯარო სკოლის პედაგოგს ნანა ჩოჩიშვილს, ვაყის საჯარო სკოლის პედაგოგს ვენერა მაჭარაშვილს, ხაშურის 2 საჯარო სკოლის ბიბლიოთეკარს ნატო ღონიკიშვილს, ტკოცის საჯარო სკოლის პედაგოგს ნანული გრიგალაშვილს, სურამის 1 საჯარო სკოლის პედაგოგებს: მარინა ხოჭოლავას, ლალი გოგალაძეს, დავით ჩადუნელსა და დამლაგებელს ნინო ლომიძეს. სურამის 4 საჯარო სკოლის პედაგოგს ქეთევან ლომიძეს და ბუდალტერს ნაირა დვალიშვილს, 1 საბავშვო ბაღის თანამშრომლებს, მაია ხუციშვილს, ირინა ხვედელიძეს, მარინა ღონდაძეს, 4 საბავშვო ბაღის თანამშრომელს ლალი სახვაძეს.

ორგანიზაციის ყველა პროფწევრს შეუძლია ისარგებლოს სტომატოლოგის 30%-ანი ფასდაკლების მომსახურებით, ასევე 30%-ანი შეღავათით სარგებლობენ სარიტუალო დარბაზებში, სამედიცინო ცენტრ „სიცოცხლე" ს კვალიფიციური ექიმების მომსახურებით, ფიზიო-თერაპიული სპეციალისტების მომსახურებით, სადღესასწაულო ცენტრებში ეწყობა სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის დაბადების დღეების აღნიშვნა და ასევე ჩვენ წევრებს შეუძლიათ ისარგებლონ 30%-ანი ფასდაკლებით. სოციალური-პარტნიორობის მიზნით, ორგანიზაცია თანამშრომლობს ქართულ-შვეიცარიული თვალის კლინიკასთან, ხდება გასვლითი ღონისძიებების ჩატარება ადგილზე ანაზღაურების გარეშე ადგილზე ემსახურებიან განათლების მუშაკებს. ასეთი გასვლითი ღონისძიებები თვალის კლინიკამ რამდენჯერმე ჩაატარა სურამის სკოლის ზონებისა და საბავშვო ბაღების განათლების მუშაკებისა და მოსწავლეებისთვის, ასევე ადგილზე ჩატარდა ალის, ნაბახტევის, ბროლოსნის, ქინძათის, ბრილის, ვაყის საჯარო სკოლებისა და საბავშვო ბაღების თანამშრომლებისა და მოსწავლეებისათვის. ადგილზე ჩატარდა დიაგნოსტიკური მომსახურება, კლინიკის ექიმები ესტუმრნენ ხაშურის საბავშვო ბაღის მასწავლებლებს და აღსაზრდელებს. ორგანიზაცია ზრუნავს წევრებზე, რთული სამუშაოს შემდეგ, იმისათვის რომ შვებულების დღეები გაატარონ შინაარსიანად და მშვიდად, შესაძლებლობა აქვთ დაისვენონ ჩვენი შეღავათებით ზღვაზეც და მთაშიც. დაგეგმონ ჩვენი კუთხის შემსწავლელი ექსკურსიები, ჩვენს მიერ დაფინანსებით, თითოეულმა ორგანიზაციამ, რამდენჯერმე ისარგებლა ექსკურსიებით.

ჩვენს მიერ გაწეული შრომის მიუხედავად, კვლავ გამოწვევად რჩება პედაგოგის, სკოლის დირექციის და ტექნიკური პერსონალის ხელფასი. აღსანიშნავია, რომ დაბალია სკოლამდელ დაწესებულებებში მომუშავე პერსონალის ხელფასებიც, რაიონის სკოლამდელ დაწესებულებებში საკითხის შესწავლის შემდეგ, ჩვენ მივმართეთ მუნიციპალიტეტის მერს ბნ- გიორგი გურასპაშვილს და საკრებულოს თავმჯდომარეს ბან მიხეილ ჯანაშვილს სკოლამდელ დაწესებულებებში დასაქმებულთა ხელფასების ზრდის მოთხოვნით. ჩვენი რაიონის ხელმძღვანელობა მზრუნველობას და ყურადღებას ყოველთვის იჩენს საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებების მიმართ. მათთან ურთიერთთანამშრომლობით არსებული მდგომარეობა მაძლევს იმედს, რომ პასუხი, რომელიც ჯერ არ უცნობებიათ, დადებითი იქნება და ჩვენი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გათვალისწინებით, საბავშვო ბაღებში დასაქმებულ პირებს ხელფასები გაეზრდებათ.

რაიონის ხელმძღვანელობას, სკოლამდელი აღზრდის ყველა დაწესებულების ყველა ინფრასტრუქტურა მოწესრიგებული აქვს, თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით. შენდება ტეზრის საბავშვო ბაღი რეაბილიტაციას გადის 7 და 8 საბავშვო ბაღები. უნდა აღინიშნოს, რომ ბატ. გია გურასპაშვილის ხელმძღვანელობის პერიოდში რაიონს შეემატა 4 საბავშვო ბაღი.

სპმთპ-ს პრეზიდენტის მოთხოვნა, რომ ეტაპობრივად გაეზარდოთ ხელფასი პედაგოგებს, იმდენად რომ, გაუთანაბრდეს საჯარო მოხელის საშუალო ხელფასს და გახდეს 900 ლარი, კვლავ არ კარგავს აქტუალობას.

ნებისმიერი საქმე სიყვარულით და სიყვარული ურთიერთპატივისცემით, ურთიერთთანადგომითა და ნდობით კეთდება. ძალა ერთობაშია. გთხოვთ ინტენსიურად ითანამშრომლოთ პროფკავშირულ ორგანიზაციასთან, რადგან ეს არის თითოეული თქვენგანის სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი დაცვის ერთადერთი მექანიზმი, რომელსაც ხელისუფლება ანგარიშს უწევს და ითვალისწინებს თქვენ სასარგებლოდ წარდგენილ ინიციატივებს.

მოგვაწოდეთ თქვენი წინადადებები, როგორ ვსრულყოთ განათლების სისტემის სტანდარტი, სად და როგორ გესაჭიროებათ ჩვენი ორგანიზაციის თანადგომა. ისარგებლეთ და იხელმძღვანელეთ ჩვენს მიერ შემოთავაზებული შეღავათებით.

ინეზა ელისაშვილი,
სპმთპ-ის ხაშურის რაიონული ორგანიზაციის
თავმჯდომარე

ფრანგული ენის მასწავლებელთა კონფერენცია

თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის 23-ე საჯარო სკოლაში, გაიმართა ფრანგული ენის მასწავლებლეთა პირველი კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სსიპ ქრისტეფორე III-ის სახელობის ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამის 4 საჯარო სკოლის ფრანგული ენის მასწავლებელმა თამარ კურტანიძემ. მონაწილე მასწავლებლებმა კონფერენციაზე წარმოადგინეს განხორციელებული პროექტები. თამარ კურტანიძის მოხსენება მოხვდა საუკეთესო სამეულში და მიწვეული იყო ვახშამზე საფრანგეთის ელჩთან საქართველოში.

“ამერ-იმერი”-სა და “ციერის” ერთობლივი საღამო

3 ივლისს, ხაშურის სამუსიკო სკოლის საკონცერტო დარბაზში, თბილისის ბავშვთა ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული სტუდია „ამერ-იმერის“ და ხაშურის მგალობელთა გუნდი „ციერის“ ერთობლივი საღამო გაიმართა.

სტუდია „ამერ-იმერმა“ ხაშურში ამჯერად პროექტი „ჭიჭეობა დამე“ ჩამოიტანა. ორგანიზატორების განმარტებით, პროექტი მითოლოგიური ელემენტების შემცველია და ასახავს კეთილისა და ბოროტის ჭიდილს.

პროექტი 2017 წელს შეიქმნა და მიზანი საქართველოს ყველა კუთხეში მოგზაურობა და ადგილობრივ ჯგუფებთან ერთად საღამოების გამართვაა.

კონცერტის დასასრულს, ორგანიზატორებმა მადლობა გადაუხადეს მუნიციპალიტეტის მერიას, კულტურის სამსახურს და სამუსიკო სკოლას მასპინძლობისთვის და მხარდაჭერისთვის.

თბილისის ბავშვთა ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულმა სტუდიამ და ხაშურის მგალობელთა გუნდმა სამომავლოდ თანამშრომლობის სურვილიც გამოთქვეს.

,, ვმღერით და ვცეკვავთ ქართულად “

აღნიშნული სახელწოდებით ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებით განვითარების ცენტრში გაიმართა შემაჯამებელი საჩვენებელი საღამო. ღონისძიებაზე წარმოდგენილი გახლდათ სხვადასხვა წრეთა მთელი წლის მანძილზე შესწავლილი მასალა. საღამო საინტ-

ერესო ასპექტში წარიმართა, მოსწავლეებმა დამსწრე საზოგადოებას წარუდგინეს ცნობილი ქართველი პოეტების სტრიქონები, ქართული ტრადიციული ცეკვები, საესტრადო და ხალხური სიმღერები ორ ხმაში და ინსტრუმენტის თანხლებით, რამაც დიდი აღფრთოვანება და ემოცია გამოიწვია მსმენელში.

ღონისძიების ბოლოს, ცენტრის მენეჯერმა ალექსანდრე ჯოჯიშვილმა წრის ხელმძღვანელები დააჯილდოვა შესაბამისი დიპლომებით.

საღამოს დასრულების შემდეგ, მოეწყო ცენტრის მოსწავლეთა ნამუშევრების (ხატვის, ქარგვის, თექის.) დათვალიერება.

შემოქმედებით საღამოს ესწრებოდნენ: ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე და თანამშრომლები, საკრებულოს თავჯდომარე და წევრები, საჯარო სკოლის დირექტორები, ცენტრის მენეჯერი, თანამშრომლები და ბევრი სხვა საინტერესო სტუმარი.

შემოქმედებითი განვითარების ცენტრმა დაასრულა 2017 – 2018 წლისთვის გათვალისწინებული გეგმა და მომავალი სასწავლო წლისთვის ელოდება ახალ თაობას, რათა კვლავ იზრუნოს მათზე, თავდაუზოგავი შრომით და ძალისხმევით განავითაროს მომავალი თაობა და დაეხმაროს საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენაში. ცენტრი მუდამ მზადაა, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, მუიციპალიტეტში მცხოვრებ ყველა ნიჭიერ მოსწავლეს, მათი სურვილისა და არჩევანის შესაბამისად (სხვადასხვა საგანმანათლებლო და სახელოვნებო წრე), მისცეს შესაძლებლობა პერსპექტიული განათლების მიღებისა და განვითარების.

სასწავლო ვიზიტი ესტონეთში

სსიპ ქრისტეფორე III-ის სახელობის ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამის 4 საჯარო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელის ინგა გოგალაძის პროექტმა გაიმარჯვა კონკურსში „მასწავლებელი - მეგზური ევროპისაკენ“ და გამარჯვებულ მასწავლებლებთან ერთად, 4-8 ივნისს იმყოფებოდა ესტონეთის დადაქალაქ ტალინში სასწავლო ვიზიტით. სასწავლო ვიზიტის ფარგლებში, პედაგოგები გაეცნენ ევროკავშირის დაფინანსებით განხორციელებულ პროექტებს, ესტუმრნენ ესტონეთის პარლამენტს, მასწავლებლის ჟურნალს, გაეცნენ ესტონეთის საგანმანათლებლო სისტემას, მოინახულეს სკოლები და ტალინის ღირსშესანიშნაობები.

როგორც ქალბატონმა ინგამ ჩვენთან საუბარში განაცხადა, ვიზიტი მართლაც ძალიან სასარგებლო იყო და ამ ვიზიტისას მიღებული გამოცდილება დიდად წაადგება შემდგომ პედაგოგიურ საქმიანობაში.

შეინარჩუნეთ ჯანმრთელი სახსრები

ჩვენს ორგანიზმში ძვლები ერთმანეთს სახსრების საშუალებით უკავშირდებიან. ყოველი ძვლის სასახსრე ზედაპირი დაფარულია ხრტილით, სახსარი კი ისეა მოწყობილი, რომ ამ ხრტილებს შორის ხახუნის ძალა მინიმალური იყოს და ჩვენმა მამოძრავებელმა სისტემამ ყოველგვარ დატვირთვას გაუძლოს. ამას უზრუნველყოფს სასახსრე ხრტილის გლუვი ზედაპირი და სახსარშიდა სითხე, რომელიც სასახსრე ზედაპირებზეა განაწილებული.

მაგრამ სხვადასხვა მიზეზთა გამო, ზოგჯერ სასახსრე ხრტილის სტრუქტურა ირღვევა, უხეშად რომ ვთქვათ, ხრტილები ცვდება და მისი ზედაპირი გლუვი აღარ არის. სახსარში ჩნდება ძვლოვანი წანაზარდებიც. შედეგად კი მოძრაობა ხდება მტკივნეული, ადამიანი იძულებულია, მოძრაობა თანდათან შეზღუდოს და ბოლოს საქმე იქამდეც კი მიდის, რომ სახსარი მთლიანად იკეტება.

სწორედ ასეთი პროცესები აღინიშნება ართროზის დროს. ალბათ გაინტერესებთ, რა იწვევს ართროზს.

ართროზის განვითარების მიზეზთა შორის განსაკუთრებულად უნდა გამოვყოთ:

- ხანდაზმული ასაკი
- ტრავმა
- სახსრების ანთებითი პათოლოგიები
- ნივთიერებათა ცვლის დარღვევა ორგანიზმში

დღეს მსოფლიოში ართროზით მილიონობით ადამიანია დაავადებული.

რას გრძნობს პაციენტი ართროზის დროს:

- მექანიკური ხასიათის ტკივილს.
- დილის შებოჭილობას 30 წუთის განმავლობაში.
- მოძრაობათა მოცულობის შემცირებას და სახსრის ფუნქციურ შესაძლებლობათა დაქვეითებას.
- სახსარზე მტკივნეული წერტილებისა და შემკვრივებების არსებობას.
- სახსრებში ხმაურს.
- სახსარში დაჭიმულობასა და არასტაბილურობას .

მძიმედ მიმდინარე ართროზის ბოლო სტადიაზე შეიძლება სახსრის სრული უმოძრაობა - განვითარდეს.

როგორ მოვიქცეთ

- სამკურნალო ფიზკულტურა ართროზის კომპლექსური მკურნალობის ერთ-ერთი რგოლია. გონივრული და ზომიერი ფიზიკური დატვირთვა სახსრის ფუნქციის შენარჩუნების სწორი გზაა.
- მნიშვნელოვანია სანატორიულ-კურორტული მკურნალობაც, რომელიც ნებადართულია მხოლოდ და მხოლოდ დაავადების მიძინების სტადიაზე
- აუცილებელია წონის კონტროლი.
- სახსრის ფუნქციის შესანარჩუნებლად აუცილებლად უნდა ჩატარდეს ხრტილის აღმდგენი თერაპია, პაციენტებს ენიშნებათ ე.წ ქონდროპროტექტორები, რომლებიც ძირითადად დაავადების I და II სტადიებზე გამოიყენება.

რა არის ქონდროპროტექტორი

ქონდროპროტექტორები ეწოდება ხრტილის აღმდგენ ნივთიერებებს და ასეთ ნივთიერებათა შორის დღეს განსაკუთრებულად პოპულარულია გლუკოზამინი და ქონდროიტინი. ეს ორი ნივთიერება ართროზის სამკურნალო და საპროფილაქტიკო არაერთ პრეპარატში შედის. ბრიტანული წარმოების ჯოინტეისი კოლაგენი კი სრულიად განსხვავებულია სხვა მსგავსი პრეპარატებისაგან და ამ განსხვავებაზე ქვემოთ მოგახსენებთ:

ჯოინტეისი კოლაგენის აბები წარმოადგენს მეცნიერულად შემუშავებულ ფორმულას ჯანმრთელი სახსრების, განსაკუთრებით ხრტილოვანი ნაწილის შესანარჩუნებლად.

ჯოინტეისი კოლაგენის შემადგენლობაში შემავალი ინგრედიენტების ზემოქმედებით ვლინდება ხრტილის აღმდგენი, ანთების საწინააღმდეგო და ტკივილგამაყუჩებელი ეფექტი, რაც აუმჯობესებს სახსრების მოძრაობას.

გარდა გლუკოზამინისა და ქონდროიტინსა, ჯოინტეისი კოლაგენი შეიცავს კოლაგენსაც.

კოლაგენი წარმოადგენს ხრტილის, ძვლების, იოგების, მყესების და კანის მთავარ სტრუქტურულ ცილას.

აღმოჩნდა, რომ სახსრის ხრტილის 90%-ზე მეტი წარმოდგენილია კოლაგენი ტიპი 2-ით. რომელსაც შეიცავს პრეპარატი ჯოინტეისი კოლაგენი.

როგორც კანში შემავალი კოლაგენი უზრუნველყოფს კანის ახალგაზრდობასა და სიგლუვეს, ასევე ხრტილში შემავალი კოლაგენი უზრუნველყოფს სახსრის დაცვას ცვეთისა და დაბერებისგან

გლუკოზამინის სულფატი წარმოადგენს მნიშვნელოვან ნუტრიენტს ჯანსაღი სახსრების შესანარჩუნებლად. ორგანიზმის უნარი - გამოიმუშაოს გლუკოზამინის სულფატი - მცირდება ასაკთან ერთად.

ვინაიდან გლუკოზამინის სულფატს აქვს დიდი როლი კოლაგენის პროდუქციაში, ჯანმრთელი სახსრების შესანარჩუნებლად იგი ძალზე მნიშვნელოვანია, ვინაიდან ხელს უწყობს ხრტილის რეგენერაციის პროცესს. გლუკოზამინი ამარაგებს ასაკობრივად ან ტრავმის შედეგად დაზიანებულ სახსრებს ე.წ. საშენი მასალებით. იგი ასევე მონაწილეობს კანის, იოგების, ფრჩხილების, ძვლის, თვალის და გულის სარქვლების რეგენერაციის პროცესში.

გლუკოზამინის სულფატი არ შედის მნიშვნელოვანი რაოდენობით საკვებში, იგი ბუნებრივად გამომუშავდება ორგანიზმის მიერ.

ჯოინტეისი კოლაგენის შემადგენლობაში შედის დაბალმოლეკულური ქონდროიტინი, რომელიც ამცირებს კალციუმის დანაკარგს, აჩქარებს ძვლოვანი ქსოვილის აღდგენით პროცესებს, აფერხებს ხრტილოვანი ქსოვილის დეგენერაციის პროცესს, ასტიმულირებს სასახსრე ხრტილის რეგენერაციას, ხელს უწყობს სახსრის ხრტილოვანი ზედაპირის აღდგენას, ამცირებს ოსტეოართროზის პროგრესირებას და ამსუბუქებს მის სიმპტომებს.

მიკროელემენტები და ვიტამინები – მათ შორის ანტიოქსიდანტური ვიტამინები C და E. ასევე ვიტამინი, რომლებსაც ასევე შეიცავს ჯოინტეისი კოლაგენი, ხელს უწყობს ძვლის სიმტკიცის შენარჩუნებას.

პრეპარატის შემადგენლობაში შედის ჯინჯერი (კოჭას ექსტრაქტი), რომელიც წარმოადგენს მცენარეულ ანთების საწინააღმდეგო საშუალებას.

თუ გსურთ, რომ თქვენი სახსრები ღრმა სიბერემდე გემსახუროთ, ასევე – არ შეგაწუხოთ ოსტეოქონდროზმა, ადვილად არ დაზიანდეს სახსრები სპორტული დატვირთვის შედეგად, 40 წლის შემდეგ სასურველია წელიწადში ორჯერ, 3 თვიანი კურსით, მიიღოთ ჯოინტეისი კოლაგენი - საშენი მასალა თქვენი სახსრების ხრტილებისთვის.

D

განცხადება

2018 წლის 19 ივლისს, ხუთშაბათს, დღის 10 საათზე, დანიშნულია შპს „ავტოსერვისის" პატრნიორთა კრება განმეორებით.

დღის წესრიგი:

1. შპს „ავტომოტოსერვისის" დირექტორის თენგიზ ხარაზიშვილის გათავისუფლების საკითხის განხილვა/გადაწყვეტა.
2. ახალი დირექტორის დანიშვნა.
3. სამეთვალყურეო საბჭოს არჩევა.
4. აუდიტის მოწვევა.

პარტნიორთა დასწრება სავალდებულოა

T: 599394245

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ მოზარდების

გიორგი ლაცაბიძისა და ნიკა მიქოიანის

ტრაგიკულად დაღუპვის გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულთა ოჯახებს.

„ხაშურის მოამბის" რედაქციის თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ მოზარდების

გიორგი ლაცაბიძისა ნიკა მიქოიანის

ტრაგიკულად დაღუპვის გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულთა ოჯახებს.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე". დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.